

სპორტიელი



საორტული გაზეთი ორშაბათი 4 დეკემბერი 2006 №280 (2902)

ფასი 50 თეთრი

უმთა არველაძემ ექსელსიორს თავისი ნომერი გაუკეთა

აღკმაარის №9 ცხრაბოლიანია



საპრესო ცენტრი



kicker ONLINE
SIRADZE SCHOCKT
KARLSRUHE
ქართველმა გორკმა
ბუნდესლიგა დაიკაბა



კავალერია და ბუნდესლიგა ზაზა ფაჩულიამ ხელი გააქორა

20 ქულა და 11 მოხსნა! ზაზა ფაჩულიამ პარასკევს სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. იყო წუთები, „ატლანტა ჰოქსის“ ქართველი მეფარე მარტო რომ ეტოქებოდა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდ კავალიერსს“ — მესამე მეოთხედში 9 ქულა და 5 მოხსნა გააკეთა, ლებრონსაც კი დაუფარა და თავის გუნდს 10-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილებინა, მაგრამ...

„ქორებმა“ ამ სეზონში ერთხელ უკვე დაამარცხეს „კავალერია“, თანაც კლივლენდში, მაგრამ ახლა მათ ვერც ზაზა ფაჩულიამ უშველა და ვერც ჯო ჯონსონმა. რეკანში შედგა: ვარსკვლავებიჭუნა ჯეიმსმა ბოლო მეოთხედი და თამაში პირადად მოიგო.

მაგრამ ზაზამ გუნდი თუ არა, საკუთარი თავი მაინც წაწია წინ — ბოლო 4 თამაშში ის მინიმუმ 11 მოხსნას აკეთებს და საშუალო მაჩვენებელი 8,4 მოხსნამდე გააუმჯობესა, რითაც თავის გუნდში გალიდერდა. რაც შეეხება ქულებს, საშუალოდ 14,3 ქულით ის „ჰოქსში“ მესამეა ჯო ჯონსონის და ტაირონ ლუს შემდეგ.




დავისის თასი 2006

ფინალი. მოსკოვი. 1-3 დეკემბერი

რუსეთი 3:2 არგენტინა

- 1:0 ნიკოლაი პიტილიძე - ხუან იგნასიო ჩელა 6:1 6:2 5:7 6:4
- 1:1 დავიდ ნალბანდიანი - მარატ საფინი 6:4 6:4 6:4
- 2:1 საფინი, დებიტრი ბურსუნოვი - ნალბანდიანი, აგუსტინ ჯალერი 6:2 6:3 6:4
- 2:2 ნალბანდიანი - დავიდენკო 6:2 6:2 4:6 6:4
- 3:2 საფინი - ხოსე აკასუსო 6:3 3:6 6:3 7:6

მაინს რუსეთი, მაინს გორია დავიდი გოლიათს ვერ მოერიდა



AFP მოსკოვიდან

დებიტრი პავლიათს გრძობები რუსული ჩოგბურთის ძველი ქომაგის, ბორის ელცინის მუშტმა გადაწონა

სულ ცოტა დააკლდა დავიდ ნალბანდიანს და მითითური დავითის დარ გმირობას გაიმეორებდა — გოლიათს წააქცევდა, მაგრამ ამ „ცოტას“ ფასი დევისის თასის წაგებული ფინალი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში გოლიათმა იმარჯვა და ეს გოლიათი გუშინ რუსეთი იყო, რომელმაც ოთხი წლის წინანდელი წარმატება გაიმეორა და დევისის თასი აღმართა.

ნალბანდიანმა ბევრი იბრძოლა და არც არაფერი დაიშურა წარმატებისთვის, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. თუმცა რა მისი ბრალისა — ჩოგბურთი გუნდური სპორტი შეიძლება არც არის, მაგრამ დევისის თასი ხომ არა ერთიანი სპორტსმენების, არამედ ნაკრებების დაპირისპირებაა და ამიტომ ერთი კაცი ამდგავარ თამაშს ვერ მოიგებდა. მით უმეტეს, რომ მეტოქე ძლიერი იყო და ძალაც ერჩოდა.

ამიტომაც ნალბანდიანს ვერაფერს დააბრალეს. ამ კაცმა ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული — ერთიერთა თანრიგის ორივე შეხვედრა მოიგო და პარასკევს წაქცეულ მარატ საფინს გუშინ ნიკოლაი დავიდენკოც მიუწვინა გვერდით.

მაგრამ ვაგლახ, რომ არგენტინელთა შორის სხვა ვერაფერს მოიძებნა ისეთი, რომელიც ხელს გამოიღებდა და ლიდერის თავგამოდებას ხეირიანად დააფასებდა. პატაგონიელთა შორის ისეთიც კი არ აღმოჩნდა, ვინაც თუნდაც ნალბანდიანის მხარდამხარ მაინც გამოიჩენდა ფხას — წყვილთა შეხვედრაშიც ხომ ძირითადად აგუსტინ კალერის უხეირო თამაშის ხარჯზე წააგეს სამხრეთამერიკელებმა. ნალბანდიანმა აქაც ლომივით იბრძოლა, მაგრამ შეწყობილად და მართლაც წყვილივით მთამაშე საფინ-დებიტრი ტურსონოვთან ვერაფერი გააწყო.

ისე კი შამილ ტარპიშევმა ასეთი წყვილის გამოყვანით სიურპრიზი გაუკეთა მეტოქეს. ტურსუნოვთან ერთად ხომ არგენტინელები მიხაილ იუჟნის ელოდნენ. მაგრამ რუსთა გამოცდილმა კაპიტანმა ახალგაზრდა მთავრებულ მოსკოველს საფინის დაყენება ამჯობინა და არც შემცდარა — სლაუთა დუეტმა სამ სეტში იოლად გადაურბინა მეტოქეებს და ფინალის ბედიც ალბათ აქ გადაწყვიტა.

თუმცა კვირას ნალბანდიანმა კიდევ ერთხელ იყოჩადა, თავისანებს შანსი და იმედი კვლავ დაუბრუნა,

როცა დავიდენკო ოთხ სეტში დასცა. ასე რომ ყველაფერი ბოლო მატჩში უნდა გარკვეულიყო.

გადამწყვეტ შეხვედრას რუსთა მხრიდან საფინი რომ ითამაშებდა, კარგად იყო ცნობილი, მაგრამ უცნობი ის იყო, თუ ვის ანდობდა ადგილს არგენტინელთა კაპიტანი ალბერტო მანჩინი — პარასკევს უხეიროდ ნათამაშებ ხუან-იგნასიო ჩელას თუ ხოსე აკასუსოს. საბოლოოდ არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა. არც ის გამოიჩინა ხალიჩაზე კარგი შედეგებით, მაგრამ დასვენებული იყო და შეიძლებოდა, გამკლავებოდა წინა ორ დღეს ნათამაშებ საფინს.

მაგრამ არა — ოთხი წლის წინ რუსთა გმირად ქცეულ საფინს არ შეეძლო, ახლა დაეღალატებინა თავისიანები, მით უმეტეს, საკუთარი ტრიბუნების წინ. მარატმა სეზონის განმავლობაში განცდილი ყველა წარუმატებლობის კომპენსირება ამ შეხვედრაში მოახერხა და, ტრავმის მიუხედავად, აკასუსო ოთხ სეტში მაინც დაამარცხა.

„უძნელესი მატჩი და კიდევ უფრო რთული დღე იყო. კოლიამ ნალბანდიანთან წააგო და ყველაფერი ამ მატჩს უნდა გაერკვია. როგორც გამოცდილი, ამ თამაშზე მე დამყენეს, მაგრამ მაგრად კი გამიჭირდა. შაბათიდან მოყოლებული, ქუსლი მაწუხებს და ახლა ისე მტკივა, რომ ფეხზე ძლივს ვდგავარ. გამიმართლა, საქმე მეოთხე სეტშივე რომ მოვათავუე, თორემ მეხუთე სეტის თამაშს ნაღდად ვერ შევძლებდი“ — ასეთი ტკვილნარევი ტრიუმფი გამოუვიდა საფინს.

რუსებმა კი, როგორც ითქვა, მეორედ მოიგეს დევისის თასი და 2002 წლის მიღწევა გაიმეორეს — ოლონდ მაშინ პარიზში, ბერსის დარბაზში იმარჯვეს, ახლა კი მშობლიური, „ოლიმპიისკის“ გადაჭედული ტრიბუნების წინ.

მოკლედ, რუსეთი 2006 წლის უძლიერესი ნაკრები.

კახა ლომავშილი



საოფლოო ჩემპიონატი კახაღა იაპონია. 17 ნოემბერი - 3 დეკემბერი

ბრაზილილი!!! ის, რაც ფეხით ვერ გააითდა

ნახევარფინალი			
ბრაზილია 3:1 სერბეთი	25:19	15:25	25:22 25:12
პოლონეთი 3:1 სერბეთი	25:20	26:28	25:23 25:23
მესამე ადგილისთვის			
პოლონეთი 3:1 სერბეთი	22:25	25:23	25:23 25:23
ფინალი			
ბრაზილია 3:0 პოლონეთი	25:12	25:22	25:17

ბრაზილია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონია! ფეხბურთში ვერა და ხელთა და ფრენით კოპაკაბანას პლაჟებიდან წამოსულმა ბიჭებმა ყველა აჯობეს. იჯახირეს, თანდათან მოუმატეს და ბოლოს იფრინეს — ასეთია ბრაზილიელთა თავგადასავალი იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე. საბოლოოდ მათ თავიანთი ფავორიტობა საქმეში დამტკიცეს და ოთხი წლის წინ მოპოვებული ტიტული წარმატებით დაიკვეს. ბრაზილიელებმა მართლაც რომ, მძიმედ დაიწყეს და იმდენი მოახერხეს, საფრანგეთთან წააგეს. ეგ იყო და ეგ — ბერნარდო რეზენდასგან დატოვილმა სამხრეთამერიკელებმა ნელ-ნელა გამოასწორეს თამაში, მეორე ჯგუფურ ეტაპზე ორიოდე სეტშია წააგეს და პლეი ოფში უკვე ბადალი არ ჰყოლიათ.

ნახევარფინალებში დავიწყეთ, სადაც ათენის ოლიმპიადის ოქროს მედალოსნები წინა, სიდნეის ოლიმპიადის ტრიუმფატორ სერბებს დაეტანენ. აქ დიდ ომს ელოდნენ, მაგრამ ბრძოლის მაგვარი მარტო მეორე სეტში თუ შედგა და ბალკანელებმა სწორედ იქ იხეირეს. სხვა მხრივ კი ბრაზილიელებმა თავისუფლად გადაუარეს არცთუ იოლ მეტოქეს და ეს უპირველესად სერბთა ლიდერების პირწმინდად ამოკვეთით შეძლეს — მხოლოდ ივან მილკოვიჩი იბრძოდა და აბა მარტო რას განდებოდა ყიბას, ანდრეს, ამარალის გუსტავო ენდრესის წინააღმდეგ.

მეორე ფინალისტი ვინაობა სლაუთა ლუელში გაიკვია და აქაც ყველაფერი ბლოკზე თამაშმა გადაწყვიტა — მაცვი კაჟისკოსა და პლაშენ კონსტანტინოს ახმახი პოლონელები ალბათ კომპარულ სიზმრად ექცევათ.

კახა ლომავშილი



ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე, ბრაზილიელი ყიბა

AFP მოსკოვიდან

ჩემპიონატის რჩეულნი

- მოთამაშე: ყიბა (ბრაზილია)
- მეძულე: ჰექტორ სოტო (პურტო რიკო)
- თავდასხმელი: დანტე ამარალი (ბრაზილია)
- მეზღოკა: ალექსეი კულეშოვი (რუსეთი)
- ჩამწოდებელი: მაცვი კაჟისკი (პოლონეთი)
- ლიბერო: ალექსეი ვერბოვი (რუსეთი)



რუსებს სათასო ქულა მარატ საფინმა მოუტანა

AFP მოსკოვიდან

მსოფლიოს თასი. პირველი ეტაპი

ესტონეთი (შპადათი) 29 ნოემბერი - 3 დეკემბერი

ოდე: ოლოლო ყველას

AFP კატერინენიდან



ამ პანის გამჩერებელი არა-
ვინ არის და რჩევა იქნება, ნურც
თოფომპარჯეებულს დაუდგებთ
წინ და მით უმეტეს, ნურც სათხი-
ლაპურო ბილიკს გადაუკვეთავთ —
ოლე ეინარ ბიორნდალენი შეუდა-
რებელია დ ის, რომ ტურინის ოლი-
მპიადაზე რაღაც გაუგებრობა მო-
ხდა, დაიდა ნორვეგიელმა წლე-
ვანდელი მსოფლიოს თასის გათა-
მაშების პირველივე ეტაპზე, შეე-
დურ ესტერსუნდში თვალნათლივ
დაამტკიცა.

თზე რამდენ შეცდომას დაუშვე-
ბდა — პირველ ჯერზე ოლემ ორი
სამიზნე დატოვა ხელუხლებელი,
მეორეზე — ერთი, ხოლო მესამე-
ზე — ოთხი, მაგრამ საბოლოო შე-
დეგი ერთი იყო — ბიორნდალენი
პირველი და საუკეთესოა და ბია-
ტლონის მთელმა გერმანულ-რუსუ-
ლმა სამყარომ რაც უნდა მოინდო-
მოს, ამ კაცის დაჩაგვრა შეუძლე-
ბელი გახლავთ.

კანები

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: სპრინტი. 10 კმ. (2 სსსროლში)

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: გამორეხვებით რეოლა. 12,5 კმ. (4 სსსროლში)

ქალები

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: სპრინტი. 7,5 კმ. (2 სსსროლში)

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: გამორეხვებით რეოლა. 10 კმ. (4 სსსროლში)

ინც ვერ აცილდა და ან, როგორ
აცილებოდა, წინ ხომ ოლე იყო...
ქალთა ამბავში კი იაროშენკო-
სი არ იყოს, უცნობა დედაკაცე-
ბმა გამოიდეს თავი. ინდივიდუ-
ალური რბოლა ხომ მაგანმა რუსმა
ირინა მალგინამ მოიგო და სპრი-
ნტში პოლონელმა მაგდალენა გვი-

ზდუნმა იმავეა, ხოლო გამოდევ-
ნებით რბოლაში ნორვეგიელი ლი-
ნდა გრუბენი იყო საუკეთესო.
და ერთიც, ისევ ბიორდალენზე
— ესტერსუნდში გაკეთებული ჰეთ
თრიქით ოლე ეინარმა თავისი სამ-
სოფლიოთასო მონაგარი 71 გამარ-
ჯვებამდე აიყვანა.

მთის თხილამურობა

მსოფლიოს თასი. 30 ნოემბერი-3 დეკემბერი

ბოდე მილერმა ტურინი დაიპინა

ბოდე მილერმა, მსოფლიოს თა-
სის 2005 წლის გამარჯვებულმა
და თავის დროზე ყველაფრის მო-
მგებმა ამერიკელმა, როგორც იქნა,
გატეხა ის ნავსი, ტურინის ოლიმ-
პიადიდან მოყოლებული რომ თრ-
გუნავდა და მიმდინარე სეზონში
პირველი გამარჯვება მოიპოვა.
ეს მილერის სამშობლოში, კო-
ლორადოს შტატის სამთო კურორტ
ბეივერ კრიკში მოხდა. მილერმა
სწრაფდაშვების ტრასაზე იმარჯვა
და ამ სახეობაში ბოლო ორ წელი-
წადში პირველი, ხოლო მთლიანად
კარიერაში 22-ე ეტაპი მოიგო.
ბოდე 0,15 წამით აჯობა შევი-
ცარიელ დიდიე კუშეს და მესამე
ადგილზე კი კიდევ ერთი ამერიკე-
ლი სტივენ ნიუმანი გავიდა.

მეორე ადგილზე ბეივერ კრიკში
სუპერკომბინაციის მომგები ნორ-
ვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი
გავიდა და საერთო ჩათვლაში გა-
ლიდერდა კიდევ — სვინდალმა
მთელი 17 ქულით გაუსწრო ზე-
მით ნახსენებ კუშეს, რომელმაც
გიგანტურ სლალომში მეოთხე ად-
გილი დაიკავა.
ამასობაში კანადურ ლეიკ ლუი-
სში ქალებმა სწრაფდაშვების ორი
ეტაპი ჩაისრიალეს და ყველაზე
უკეთ ამერიკელი ლინდსი კილდოუ
გაისარჯა, რომელმაც ერთი ეტაპი
მოიგო და მეორეში კი გერმანელი
მარია რიში შემდეგ მეორე ადგი-
ლი დაიკავა.
საერთო ჩათვლაში კი წინ კე-
ლაკაც ავსტრიელ სლოლომისტა
ტრია ნიკოლ პოსპისი, მარლიზ
შილდისა და კატრინ ზეტელის შე-
მაღდებლობით. კალდოუმა და რი-
შმა ლეიკლუისური წარმატებების
წყალობით მეოთხე-მეხუთე ადგი-
ლებზე ანაცვლეს და ამასობაში
სეზონის ფავორიტმა, შვედმა ანია
პერსონმაც დაიწყო აღმასვლა —
ერთ-ერთი სწრაფდაშვების ის მე-
სამე იყო, ამ სეზონში პირველად
შედეგ პოდიუმზე და დაიქადა, ეს
არაფერია, მალე ძველ ანიას იხი-
ლავთო.

გია მუჯირი

კანები ბივიარ კრიკი (აშშ)

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: სწრაფდაშვება

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: გიგანტური სლალომი

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: საერთო ჩათვლა

ქალები ლეიკ ლუისი (კანადა)

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: სწრაფდაშვება

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: სწრაფდაშვება

Table with 2 columns: Rank, Name, Points. Title: საერთო ჩათვლა

Right sidebar containing NHL logo, 'რეპუბლიკა' title, and various sports results and news snippets.

ჰოლანდია

ჰოლანდია. XV ტური. შედეგები: ვალენიკი 2:1 სპარტა, იკედია (27), 1:1 ვლუგი (39), 2:1 მულდერი (86)...

II დივიზიონი. XIX ტური

II დივიზიონი. XIX ტური. შედეგები: აპელდორნი — ეინდჰოვენი 2:0; დენ ბოსხი — ვოლენდამი 3:0...

ირლანდია

ასოციაციის თანხის ვინაში სენტ პატრიკისი 3:4დდ(2:2) დარი

სორბატია

I დივიზიონი. XVIII ტური. შედეგები: ბულა — ცობალია 0:0; სლავნი — მუდიმურე 1:1...

უკრაინა

უპაღლესი ლიგა. XVI ტური. შედეგები: კარპატინი 1:1 არსენალი...

გაუგია

გაუგია. XV ტური. შედეგები: ბავარიანი 1:1 ანდერლახტი, ბრიუსელი 0:2 შარლერუა...

II კლასი. XV ტური

II კლასი. XV ტური. შედეგები: ანტვერპენი — დაინცე 3:1; დეველი — სენტ ეილი 0:0...

სერბეთი

სერბეთი. სუპერლიგა. XV ტური. შედეგები: მლადოსტი — ბეჟანა 1:1; ცრვენა ზეზდა — ბორაცი 2:1...

როიალ ლიგა 2006-2007

როიალ ლიგა 2006-2007. შედეგები: A ჯგუფი. III ტური. ბრანი 1:1 ოდენსე...

იაპონია

ჯეი ლიგა. XXXIV ტური. შედეგები: ინიზარა — იოკოჰამა 0:2; კაშიმა — იგატა 3:0...

რუმინეთი

რუმინეთი. A დივიზიონი. XVIII ტური. შედეგები: გლორია — ჩაბლაული 2:1; პოლიტეხნიკა — უნირია 1:1...

ჩელსის უნდა ფლავი



ლაიმატონ. დიდი ხანია, ჩელსის "სენსაციური" სენალს "რომას შექენა უნდოდა, მაგრამ ვოლკოვერმა ემირატ სტედიუმზე" გადასვლა იუარა.

პეტრ ჩხის ტრავმის გამო ჩელსის მეკარის პრობლემა რომ შეექმნა, კარგად მოგვსვენებათ.

ოპერასია ნესტა

იტალიური „მილანის“ მცველები — ალესანდრო ნესტა და სერჟინიო ამ კვირაში ოპერაციებს გაიკეთებენ.

დიდი ხანია, ვეტერან იტალიელს კლუბის გამოცვლა უნდა და მით უმეტეს, ახლა, როცა „მონაკო“ კრიზისშია და სერიოზული მიხეებისთვის ვერ იბრძვის...

სოკი კანდელაკი



ბიორბი კაბაბაძე

ჩეხეთი

ჩეხეთი. ბაგერინუს ლიგა. XVII ტური. შედეგები: სლოვაკო — ზლინი 0:0; ლიბერეცი — ბუდუიოვიცე 2:0...

საგურაქეთი

საგურაქეთი. ეროვნული ლიგა. XIII ტური. შედეგები: კერკირა — ოლიმპიკოსი 0:2; აგე — იონიკოსი 2:0...

თურქეთი

თურქეთი. სუპერლიგა. XVI ტური. შედეგები: ბურსა — ტრაბზონი 2:1; ქაისერი — დენიზლი 1:1...

უგუისტარია

უგუისტარია. სუპერლიგა. XVII ტური. შედეგები: სენტ გალენი — აარუ 1:1; თუნი — ციურინი 0:2...

ავსტრია

ავსტრია. გამსახუნდელსლიგა. XX ტური. შედეგები: ტიროლი — რიდი 0:0; გრაცერი — მატერსბურგი 3:3...

უნგრეთი

უნგრეთი. ბორსოლი ლიგა. XVI ტური. შედეგები: ზალეგერსეგი — ფეხერვარი 2:1; პაუმი — ვაცი 0:0...

